მატჩი წვიმის ქვეშ

რიგის “დაუგავამ” უკანასკნელ თამაშებში მდგომარეობა გამოასწორა, მაგრამ მაინც აუტსაიდერთა რიცხვშია და მისთვის პირველი ჯგუფის დატოვების საშიშროება ჯერ კიდევ არაა ლიკვიდირებული. თბილისის “დინამომ” კი საგრძნობლად გამოაკეთა თამაში და უკანასკნელ მატჩებში ზედიზედ რამდენიმე გამარჯვება მიპოვა.

25 სექტემბერს მთელი დღეს წვიმდა და მოედანი წყლის გუბეებით დაიფარა. მიუხედავად ასეთი ამინდისა, აღნიშნული გუნდების შეხვედრა მაინც საინტერესო გამოდგა.

თბილისელებმა ანგარიში პირველ წუთზე გახსნეს.

თამაშის მეორე ნახევარში ღოღობერიძემ მაღალი ბურთი დაარტყა კარისაკენ, მეკარე პერკლმანი თითებით მისწვდა ბურთს, მაგრამ ვერ შეაჩერა და თავს უკან გადაუვარდა. იქვე მდგომმა ჯოჯუამ ბურთი ბადეში გაახვია. ანგარიში 2:0 (თბილისელთა სასარგებლოდ) არ შეცვლილა.

თბილისის “დინამოს” სამი მატჩი დარჩა. გუნდი ახლა კარგ სპორტულ ფორმაშია და თუ ამ თამაშებს მოიგებს შეიძლება 5-6 ადგილზე გავიდეს.

ბ. ქორქია.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 27 სექტემბერი, 1949 წ.